**სხვადასხვა რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული პირის მიერ მიღებული მოგების განაწილება 2631**

### ფაქტობრივი გარემოებები

შპს „X“ დაფუძნებულია რეზიდენტი ფიზიკური პირის და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ, თანაბარი მონაწილეობით. საწარმო საქმიანობს სათამაშო ბიზნესის სფეროში. 2017 წლის განმავლობაში შპს „X“-ის მიერ ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებულმა მოგებამ შეადგინა - 400 000 ლარი, სათამაშო აპარატების სალონიდან - 100 000 ლარი და კვების მომსახურების გაწევიდან - 100 000 ლარი.

საწარმომ გადაწყვიტა 2018 წლის 10 იანვარს დამფუძნებლებზე თანაბრად გაანაწილოს 2017 წლის მოგება 300 000-300 000 ლარი.

შპს „X"-ს 2018 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდზე საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ მოუხდენია.

### შეფასება

სსკ-ის 97-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში ამ საქმიანობის ნაწილში, განისაზღვრება ამავე კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად. სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მათ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა) განაწილება.

საწარმოს სხვადასხვა საქმიანობიდან მიღებული მოგება პარტნიორებს მიეკუთვნება წილების პროპორციულად. მოცემულ შემთხვევაში ფიზიკურ პირს ეკუთვნის 300 000 ლარი, საიდანაც 200 000 ლარი მიღებულია სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორიდან (სსკ-ის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად ყოველთვიურად იბეგრება საქმიანობის ამ ნაწილში დადებული ფსონების ჯამი 7%-იანი განაკვეთით), 50 000 ლარი სათამაშო აპარატების სალონიდან და 50 000 ლარი - კვების მომსახურების გაწევიდან. იურიდიულ პირს ეკუთვნის 300 000 ლარი, საიდანაც 200 000 ლარი მიღებულია სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორიდან, 50 000 ლარი - სათამაშო აპარატების სალონიდან და 50 000 ლარი - კვების მომსახურების გაწევიდან.

საწარმო ვალდებული იყო 2018 წლის იანვრის თვეში ფიზიკურ პირზე განაწილებული კვების მომსახურებიდან მიღებული მოგება 50 000 ლარი დაებეგრა და ბიუჯეტში გადაეხადა 8 823 (50 000/0,85*15%) ლარი მოგების გადასახადი.

### ღონისძიებები

შპს „X"-ს დაერიცხება კუთვნილი მოგების გადასახადი და დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის, დაეკისრება ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

- *სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ და მისი დამფუძნებელი იურიდიული პირი მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით*

**ანოტაცია**
**„სხვადასხვა რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული პირის მიერ მიღებული მოგების განაწილება“ №2631**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სხვადასხვა რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული პირის მიერ მიღებული მოგების განაწილებისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“ დაფუძნებულია რეზიდენტი ფიზიკური პირის და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ, თანაბარი მონაწილეობით. საწარმო საქმიანობს სათამაშო ბიზნესის სფეროში. 2017 წლის განმავლობაში შპს „X“-ის მიერ ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებულმა მოგებამ შეადგინა - 400 000 ლარი, სათამაშო აპარატების სალონიდან - 100 000 ლარი და კვების მომსახურების გაწევიდან - 100 000 ლარი.

საწარმომ გადაწყვიტა 2018 წლის 10 იანვარს დამფუძნებლებზე თანაბრად გაანაწილოს 2017 წლის მოგება 300 000-300 000 ლარი

შპს „X"-ს 2018 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდზე საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ მოუხდენია

სსკ-ის 97-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში ამ საქმიანობის ნაწილში, განისაზღვრება ამავე კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად. სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგების (გარდა მათ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული მოგებისა) განაწილება.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საწარმოს სხვადასხვა საქმიანობიდან მიღებული მოგება პარტნიორებს მიეკუთვნება წილების პროპორციულად. მოცემულ შემთხვევაში ფიზიკურ პირს ეკუთვნის 300 000 ლარი, საიდანაც 200 000 ლარი მიღებულია სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორიდან (სსკ-ის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად ყოველთვიურად იბეგრება საქმიანობის ამ ნაწილში დადებული ფსონების ჯამი 7%-იანი განაკვეთით), 50 000 ლარი სათამაშო აპარატების სალონიდან და 50 000 ლარი - კვების მომსახურების გაწევიდან. იურიდიულ პირს ეკუთვნის 300 000 ლარი, საიდანაც 200 000 ლარი მიღებულია სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორიდან, 50 000 ლარი - სათამაშო აპარატების სალონიდან და 50 000 ლარი - კვების მომსახურების გაწევიდან.

საწარმო ვალდებული იყო 2018 წლის იანვრის თვეში ფიზიკურ პირზე განაწილებული კვების მომსახურებიდან მიღებული მოგება 50 000 ლარი დაებეგრა და ბიუჯეტში გადაეხადა 8 823 (50 000/0,85*15%) ლარი მოგების გადასახადი.

შპს „X"-ს დაერიცხება კუთვნილი მოგების გადასახადი და დეკლარაციაში თანხის შემცირებისათვის, დაეკისრება ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.